ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 29

29 მარტი, 2024 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

14:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

შალვა ოგბაიძე

ირაკლი ეძგვერაძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

დღის წესრიგი

1. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭების შესახებ**
2. **ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელების შესახებ**
3. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში პეტრე იბერის შესახვევის გაგრძელების შესახებ**
4. **ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დავით ბატონიშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ**
5. **ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევის გაგრძელების შესახებ**

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილა.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება საბურთალოს რაიონში, 26 მაისის მოედანთან არსებული უსახელო სკვერისთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწის აკაკი ჩხენკელის სახელის მინიჭებას. იგი იყო პოლიტიკოსი და დიპლომატი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, საქართველოს ელჩი საფრანგეთში კომისიის წევრებმა საკითხს დადებითი რეკომენდაციია გაუწიეს.

მეორე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში ვაჟა-ფშაველას ქუჩის გაგრძელებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხით საბურთალოს რაიონში, დიდ დიღომში გაგრძელდება პეტრე იბერის შესახვევი.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დავით ბატონიშვილის ქუჩის გაგრძელებისა და ქუჩასთან არსებული ორი უსახელო შესახვევისთვის დავით ბატონიშვილის I და II შესახვევის სახელის მინიჭების საკითხი.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეხუთე საკითხი. გლდანის რაიონში გაგრძელდება ივანე კაჭარავას ქუჩის I შესახვევი. კომისიის წევრებმა აღნიშნულ ინიციატივას დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

ნინო ვარდოსანიძის განცხადებით, წარმოდგენილი საკითხები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ინიციატივებად დარეგისტრირდება საკრებულოს წინაშე, რეგისტრაციიდან არაუადრეს 20 დღისა გაიმართება საჯარო განხილვა და ამის შემდგომ მოხდება საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე